ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.10.2015

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 009/15

შეკითხვა:

ადვოკატის მიერ დაირღვევა თუ არა ეთიკის ნორმები იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი შეადგენს ხელშეკრულების სტანდარტულ ფორმას, რომლის მიხედვითაც მას არ ექნება კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება და კლიენტები ხელს მოაწერენ აღნიშნულ ხელშეკრულებას?

ანალიზი:

ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი:

1. ადვოკატი ვალდებულია:

ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად;

ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.

2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი:

1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური

ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.

2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

4. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:

ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 2.3.1 მუხლი:

„ადვოკატის ძირეული ფუნქციაა კლიენტისაგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და იყოს ნდობის საფუძველზე ამ ინფორმაციის მიმღები. კონფიდენციალურობის უეჭველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა. ამდენად, კონფიდენციალურობა ადვოკატის უპირველესი ფუნდამენტური უფლება და მოვალეობაა...“

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი იღებს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალურია. კონფიდენციალობის ვალდებულება დროში არ არის შეზღუდული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატს კონფიდენციალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება ეკისრება, როგორც კლიენტის ინტერესების დაცვისას, ასევე საქმის დასრულების შემდეგაც.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 09 სექტემბერის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №029/11, განმარტა: ,,კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება მოიცავს კლიენტისაგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებულ ინფორმაციას, რომლის დაცვის ვალდებულება ადვოკატს უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ.“

შეკითხვაში მითითებული გარემოებების მიხედვით, ადვოკატი, მის მიერ კლიენტთან გასაფორმებელ, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაში მიუთითებს, რომ არ აქვს კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება. მიუხედავად ამისა, კლიენტები ხელს აწერენ ხელშეკრულების ამ ფორმას.

დისციპლინური კოლეგია, რეკომენდაციის გაცემისას მიუთითებს, რომ ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებით კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების გარკვეული ვადით ან სრულად შეზღუდვა ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას იმის მიუხედავად, რომ კლიენტმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებაზე და შესაბამისად, დაეთანხმა მასში მითითებულ პირობებს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ადვოკატის იმპერატიული მოვალეობაა და, შესაბამისად, მას არ აქვს უფლება სახელშეკრულებო ვალდებულებით უარყოს იგი.

მიუხედავად იმისა, ადვოკატი სამომავლოდ გაახმაურებს თუ არა კონფიდენციალური ინფორმაციას, მის მიერ აღნიშნული პუნქტის მითითება ხელშეკრულებაში ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნას - „კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.“ დაუშვებელია, ადვოკატმა საკუთარ თავს კლიენტთან დადებული

ხელშეკრულებით მიანიჭოს ისეთი ქმედების განხორციელების უფლება, რასაც უკრძალავს პროფესიული ეთიკის ნორმები. განსახილველ შემთხვევაში, კლიენტს შეეზღუდა უფლება - ადვოკატის მიერ მისი საქმის შესახებ მიღებული ინფორმაცია განუსაზღვრელი ვადით დარჩეს კონფიდენციალური, გარდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

დასკვნა:

იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაში ადვოკატის მითითება, რომ მას არ აქვს კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება, მიუხედავად კლიენტის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა, ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებას. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ადვოკატის იმპერატიული მოვალეობაა და, შესაბამისად, ადვოკატს არ აქვს უფლება სახელშეკრულებო ვალდებულებით უარყოს იგი. განსახილველ შემთხვევაში, კლიენტს ეზღუდება უფლება - ადვოკატის მიერ მისი საქმის შესახებ მიღებული ინფორმაცია განუსაზღვრელი ვადით დარჩეს კონფიდენციალური, გარდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /გია ტაბლიაშვილი/